

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ფორმირება და დამატებითი ასპექტები



ალტე უნივერსიტეტი

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ფორმირება და დამატებითი ასპექტები (მეთოდური სახელმძღვანელო)

სწავლის შედეგები არის განაცხადი იმის შესახებ, თუ რა იცის, რა ესმის და რისი გაკეთება შეუძლია პირს სწავლის პროცესის დასრულების შემდეგ.

სწავლის შედეგების პროგრესიას მარტივიდან რთულისკენ აღწერს კვალიფიკაციების ეროვნული ჩარჩო (როგორც დონეების ერთობლიობა) 3 კატეგორიით:

- **ცოდნა და გაცნობიერება** (რაც გულისხმობს სწავლის ან საქმიანობის სფეროსთან დაკავშირებული ინფორმაციის, ფაქტების, პრინციპების, თეორიების, თეორიული და პრაქტიკული მეთოდების ასიმილაციის შედეგს)
- **უნარი** (რაც გულისხმობს კონკრეტული დავალების შესრულებისა და პრობლემების გადაჭრისათვის შესაბამისი ცოდნის გამოყენების შესაძლებლობას)
ან/და
- **პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა** (რაც გულისხმობს ღირებულებებითა და დამოუკიდებლობის შესაბამისი ხარისხით პირის მიერ ცოდნისა და უნარების გამოყენებას).

კვალიფიკაციის დონე (სულ 8 დონეა)	ცოდნა და გაცნობიერება	უნარი	პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა
----------------------------------	-----------------------	-------	----------------------------------

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ფორმირება და დამატებითი ასპექტები

<p>დონე 4 (სრული ზოგადი განათლება)</p>	<p>სწავლის ან/და საქმიანობის სფეროს ფაქტობრივ გარემოებებსა და თეორიულ საფუძვლებზე დამყარებული ფართო ცოდნა და მისი გააზრება</p>	<p>სწავლის ან/და საქმიანობის სფეროსთვის დამახასიათებელი კოგნიტური და პრაქტიკული უნარების ფართო სპექტრის გამოყენება. არაერთგვაროვანი პრობლემების იდენტიფიცირება და მისი გადაჭრისათვის ინფორმაციის მოძიება, შერჩევა, კრიტიკულად გააზრება, სათანადო მიდგომის იდენტიფიცირება და შესაბამისობის შეფასება. სწავლის ან/და საქმიანობის შესახებ კომუნიკაცია სტრუქტურირებული და თანმიმდევრული არგუმენტების მეშვეობით, კონტექსტისათვის შესაბამისი ფორმებით, ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიების გამოყენებით.</p>	<p>პროგნოზირებად, მაგრამ ცვალებად გარემოში საკუთარი საქმიანობის ან სწავლის მართვა სახელმძღვანელო პრინციპების გათვალისწინებით. ერთგვაროვანი სამუშაო პროცესის ზედამხედველობა; სამუშაო და სასწავლო აქტივობების შეფასებასა და გაუმჯობესებაზე გარკვეული პასუხისმგებლობის აღება.</p> <p>დამოუკიდებლობის გარკვეული ხარისხით საკუთარი პროფესიული განვითარების შეფასება და სწავლა.</p>
<p>დონე 5 (მოკლე ციკლი უმაღლეს განათლებაში)</p>	<p>სწავლის ან/და საქმიანობის სფეროს მრავალმხრივი, სპეციალიზებებული, თეორიული და პრაქტიკული ცოდნა (სრული ზოგადი განათლების შემდგომი) და მისი შესაძლებლობების (საზღვრების) გააზრება</p>	<p>მკაფიოდ განსაზღვრული აბსტრაქტული და კონკრეტული პრობლემების გადასაჭრელად, ასევე კომპლექსური დავალების შესასრულებლად სწავლის ან/და საქმიანობის სფეროს შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების ფართო სპექტრის გამოყენება, მათ შორის, სათანადო მონაცემების იდენტიფიცირება, მათი ანალიზი და შეფასება. იდეებისა და ინფორმაციის სტრუქტურირებულად და თანმიმდევრულად გადაცემა</p>	<p>სწრაფად ცვალებად (არაპროგნოზირებად) გარემოში საქმიანობის პროცეს(ებ)ის ზედამხედველობა და მართვა პროფესიული ეთიკის პრინციპების დაცვით; სხვების საქმიანობაზე პასუხისმგებლობის აღება; საკუთარი და სხვების საქმიანობის შეფასება და გაუმჯობესებაზე ზრუნვა; საკუთარი სწავლის</p>

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ფორმირება და დამატებითი ასპექტები

		სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის კონტექსტისათვის შესაბამისი ფორმებით, ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიების გამოყენებით.	მიმართულებების განსაზღვრა და სწავლის დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხით განხორციელება.
დონე 6 (ბაკალავრიატი) <i>- ხორციელდება ალტე უნივერსიტეტში</i>	სწავლის ან/და საქმიანობის სფეროს ფართო (სრული ზოგადი განათლების შემდგომი) ცოდნა, რომელიც მოიცავს თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებასა და ცოდნის ზოგიერთ უახლეს ასპექტს.	სწავლის ან/და საქმიანობის სფეროსათვის დამახასიათებელი შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების გამოყენება რთული და გაუთვალისწინებელი პრობლემების გადაჭრისათვის. კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის/ნაშრომის განხორციელება წინასწარგანსაზღვრული მითითებების შესაბამისად. სფეროსთვის დამახასიათებელი მონაცემების შეგროვება და განმარტება, ასევე განყენებული მონაცემების ან/და სიტუაციების ანალიზი სტანდარტული და ზოგიერთი უახლესი მეთოდის გამოყენებით; სათანადო დასკვნების ჩამოყალიბება, რომლებიც ითვალისწინებენ შესაბამის სოციალურ, სამეცნიერო ან/და ეთიკურ საკითხებს. იდეების, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან კომუნიკაცია კონტექსტისათვის შესაბამისი ფორმებით, ინფორმაციისა და	კომპლექსურ, არაპროგნოზირებად სასწავლო ან/და სამუშაო გარემოში განვითარებაზე ორიენტირებული საქმიანობის წარმართვა და მასზე პასუხისმგებლობის აღება. საკუთარი საქმიანობის ეთიკის პრინციპების დაცვით განხორციელება. საკუთარი და სხვების უწყვეტი პროფესიული განვითარების დაგეგმვა და განხორციელების ხელშეწყობა. საკუთარი შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა და დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხით განხორციელება.

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ფორმირება და დამატებითი ასპექტები

		კომუნიკაციის ტექნოლოგიების გამოყენებით.	
დონე 7 (მაგისტრატურა)- ხორციელდება ალტე უნივერსიტეტში	სწავლის ან/და საქმიანობის სფეროს ღრმა, სისტემური ცოდნა და მისი კრიტიკული გააზრება, რომელიც მოიცავს სწავლის ან/და საქმიანობის სფეროს ზოგიერთ უახლეს მიღწევებს და ქმნის საფუძვლს ინოვაციებისათვის, ახალი, ორიგინალური იდეების განვითარებისათვის.	უცნობ ან მულტიდისციპლინურ გარემოში რთული პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიება ან/და კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება, აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით, უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით. რთული ან არასრული ინფორმაციის (მათ შორის, უახლესი კვლევების) კრიტიკული ანალიზი, ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი, შეფასება და დასკვნების ჩამოყალიბება, რომლებშიც აისახება სოციალური და ეთიკური პასუხისმგებლობები. საკუთარი დასკვნების, არგუმენტების და კვლევის შედეგების წარდგენა, როგორც აკადემიურ ასევე, პროფესიული საზოგადოებისთვის აკადემიური ეთიკის სტანდარტების დაცვით.	კომპლექსური, არაპროგნოზირებადი ან მულტიდისციპლინური სასწავლო ან/და სამუშაო გარემოს მართვა და ადაპტირება ახალი სტრატეგიული მიდგომების მეშვეობით. პროფესიული ცოდნისა და პრაქტიკის განვითარებაში წვლილის შეტანა. სხვების საქმიანობასა და პროფესიულ განვითარებაზე პასუხისმგებლობის აღება; საკუთარი სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა.
დონე 8 (დოქტორანტურა)	სწავლის ან/და საქმიანობის სფეროს უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა, რომელიც არსებული ცოდნის გაფართოებისა თუ	აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით კვლევის დაგეგმვა და განხორციელება; ახალი კვლევითი ან ანალიტიკური მეთოდების ან/და მიდგომების შემუშავება, რომელიც ახალი ცოდნის შექმნაზე ორიენტირებული	აკადემიურ ან/და პროფესიულ კონტექსტში უახლეს მიღწევებზე დამყარებული კვლევითი პროექტების ან/და განვითარებაზე ორიენტირებული ღონისძიებების განხორციელება ხელმძღვანელობითი, აკადემიური

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ფორმირება და დამატებითი ასპექტები

	<p>ინოვაციური მეთოდების გამოყენების საშუალებას იძლევა, მათ შორის, მულტიმედია-ციფრული ან ინტერდისციპლინურ კონტექსტში. სწავლის ან საქმიანობის სფეროს სისტემური და კრიტიკული გააზრება.</p>	<p>(საერთაშორისო რეფერირებადი პუბლიკაციისათვის აუცილებელი სტანდარტის დონეზე); ახალი, რთული და წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების კრიტიკული ანალიზი, სინთეზი და შეფასება, რითაც ხდება კომპლექსური პრობლემების გადაჭრისათვის სწორი და ეფექტური გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება (კვლევის ან/და ინოვაციაში). არსებულ ცოდნასთან ურთიერთკავშირში ახალი ცოდნის დასაბუთებულად, გარკვევით წარმოჩენისა და გადაცემის უნარი როგორც კოლეგების, ასევე ფართო საზოგადოებისათვის. ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე გამართულ თემატურ დისკუსიებში მონაწილეობის უნარი.</p>	<p>ან/და პროფესიული კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით, ასევე ინოვაციურობისა და დამოუკიდებლობის დემონსტრირებით.</p>
--	---	---	--

შენიშვნა: მეთოდურ სახელმძღვანელოში განმარტებულია ის დონეებიც, რომელსაც ალტე უნივერსიტეტი არ ახორციელებს. აღნიშნულის მიზანია დონეების საზღვრების დანახვა/გამიჯვნა და გააზრება.

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს აღმწერის კატეგორიები

კატეგორია	ცოდნა და გაცნობიერება	უნარი	პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა
-----------	-----------------------	-------	----------------------------------

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ფორმირება და დამატებითი ასპექტები

ქვეკატეგორია / ასპექტები	თეორიული ან/და ფაქტობრივი ცოდნა და გააზრება	დავალების შესრულებისა და პრობლემის გადაჭრის უნარები კომუნიკაციის უნარი	პასუხისმგებლობა სწავლის უნარი
მახასიათებელი	დიაპაზონი და სიღრმე	ტიპი და სირთულე	ცოდნის და უნარის - გამოყენების კონტექსტი(გარემო)
დამხმარე კითხვები	<p>რა ტიპისაა ცოდნა?</p> <p>რა დიაპაზონისა და სიღრმისაა ცოდნა ?</p> <p>რა ზომით შეუძლია პირს ამ ცოდნის კონტექსტში ჩასმა?</p>	<p>რა სირთულისაა შესასრულებელი დავალება და გადასაჭრელი პრობლემა?</p> <p>რა ტიპის კოგნიტური ან/და პრაქტიკული უნარები გამოიყენება მოცემული სირთულის დავალების შესასრულებლად და პრობლემის გადასაჭრელად ?</p> <p>რა სირთულისაა გადასაცემი ინფორმაცია: რა სახის ინფორმაციაა გადასაცემი? - ვისთვისაა განკუთვნილი ინფორმაცია(მიზნობრივი ჯგუფი)? - რა მეთოდებით გადაიცემა ინფორმაცია? - როგორია ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიების გამოყენების სირთულე?</p>	<p>რამდენად პროგნოზირებადია სწავლის/საქმიანობის გარემო სადაც ხდება ცოდნისა და უნარების გამოყენება?</p> <p>როგორია პირის დამოუკიდებლობის ხარისხი/მისი როლი საქმიანობის პროცესში? რა პასუხისმგებლობები აქვს პირს საქმიანობის პროცესში? რა ხარისხით შეუძლია პირს პასუხისმგებლობის აღება საკუთარ და სხვების საქმიანობაზე?</p> <p>რამდენად შეუძლია პირს საკუთარი ან/და სხვების სწავლის/პროფესიულ განვითარება (დამოუკიდებლად და პასუხისმგებლობით)? რა მეთოდებს იყენებს ამისთვის?</p>

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ფორმირება და დამატებითი ასპექტები

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს კატეგორიების განმარტება

(განმარტება მოცემულია რვავე დონის გათვალისწინებით)

ცოდნა და გაცნობიერება

ცოდნა, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიზნებისათვის, არის სწავლის ან/და საქმიანობის სფეროსთან დაკავშირებული ინფორმაციის, ფაქტების, პრინციპების, თეორიების, კონცეფციების, პროცედურების, თეორიული და პრაქტიკული მეთოდების ასიმილაციის შედეგი.

გაცნობიერება არის ცოდნის კონტექსტში ჩასმის შესაძლებლობა, რაც მოიცავს ცოდნის გახსენებას, შერჩევას, იდენტიფიცირებას, ინტერპრეტირებას, კლასიფიცირებას, ახსნა-განმარტებას, შეფასებას, სისტემურ და კრიტიკულ გააზრებას.

ცოდნისა და გაცნობიერების დიაპაზონი და სიღრმე იცვლება ერთი ან რამდენიმე მარტივი, საბაზისო ფაქტისა და პრინციპის ცოდნიდან და მარტივი ფაქტების გახსენებიდან ინტერ/მულტი-დისციპლინურ სწავლის სფეროს ღრმა ცოდნამდე და უახლესი მიღწევების სისტემურ გააზრებამდე.

უნარები

უნარი გულისხმობს კონკრეტული დავალების შესრულებისა და პრობლემების გადაჭრისათვის ცოდნის გამოყენების შესაძლებლობას და აღიწერება კოგნიტური და პრაქტიკული უნარების გაგებით. ესაა:

- დავალების შესასრულებლად და პრობლემის გადასაჭრელად საჭირო უნარები
- კომუნიკაციის უნარი

- დავალების შესასრულებლად და პრობლემის გადასაჭრელად საჭირო უნარები არის შემდეგი სახის: კოგნიტური და პრაქტიკული.
- კოგნიტური უნარები - მოიცავს ლოგიკურ, ინტუიტიურ და კრეატიულ აზროვნებას;
- პრაქტიკული უნარები - მოიცავს სათანადო მეთოდების, მასალების მოწყობილობებისა და ინსტრუმენტების გამოყენების

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ფორმირება და დამატებითი ასპექტები

შესაძლებლობას.

შესასრულებელი დავალებისა და გადასაჭრელი პრობლემის მახასიათებელია სირთულე, რასაც უკავშირდება იმ უნარების სირთულე ან/და დიაპაზონი, რომელიც საჭიროა დავალების შესასრულებლად და პრობლემის გადასაჭრელად.

კოგნიტური ან/და პრაქტიკული უნარები იცვლება სტრუქტურირებული დავალების შესრულებისა და მარტივი პრობლემის გადასაჭრელად საჭირო მცირე რაოდენობის საბაზო უნარებიდან კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვისა და განხორციელების, ასევე კომპლექსური პრობლემების გადაჭრისათვის ეფექტური გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო ფართო დიაპაზონის უნარებამდე;

- **კომუნიკაციის უნარი გულისხმობს** იდეების, ინფორმაციის ეფექტურად გადაცემის შესაძლებლობას და იცვლება ინფორმაციის სირთულის ზრდის, მიზნობრივ ჯგუფისა და გადაცემის ფორმების ან/და საშუალებების მრავალფეროვნების კვალობაზე.

საკომუნიკაციო უნარები აღიწერება შემდეგის გათვალისწინებით:

- გადასაცემი ინფორმაციის სირთულე (რომელიც იცვლება სტრუქტურირებული დავალების შესრულების შესახებ ინფორმაციიდან უახლეს მიღწევების შესახებ ინფორმაციამდე)
- მიზნობრივი ჯგუფ(ებ)ი (მათი რაოდენობა და მრავალფეროვნება იცვლება თანამშრომლებიდან, უშუალო ხელმძღვანელიდან საერთაშორისო დონეზე სამეცნიერო და პროფესიული საზოგადოებამდე)
- ინფორმაციის გადაცემის ფორმები და საშუალებები (ინფორმაციის გადაცემის ფორმა ან/და საშუალებები არაა მკაფიოდ მოცემული. კომუნიკაციის ფორმები (ზეპირი ან წერილობითი) და ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიების გამოყენება უნდა შეესაბამებოდეს კონტექსტს. გადაცემის ფორმა, ჩვეულებრივად, იცვლება მშობლიურ ენაზე სტანდარტული, მარტივი წერილობით ან/და ზეპირი შეტყობინებიდან/ანგარიშიდან, მშობლიურ და უცხო ენაზე შესრულებულ უახლეს კვლევით ნაშრომამდე ან/და განვითარების სტრატეგიულ პროექტამდე; ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიების საბაზო გამოყენებიდან მათ კრეატიულ და ინოვაციურ გამოყენებამდე.)

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

კანონმდებლობით, სწავლის შედეგების განმარტებაში, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა გულისხმობს ღირებულებებითა და დამოუკიდებლობის შესაბამისი ხარისხით პირის მიერ ცოდნისა და უნარების გამოყენებას. აღნიშნული გულისხმობს სასწავლო ან სამუშაო კონტექსტში პირის მიერ პასუხისმგებლობით მოქმედებისა და საკუთარი სწავლისა და განვითარების შესაძლებლობის წარმოჩენას და აღწერილია შემდეგის გათვალისწინებით:

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ფორმირება და დამატებითი ასპექტები

- პასუხისმგებლობა.
- სწავლის უნარი.

- პასუხისმგებლობა:

ერთი მხრივ, გულისხმობს სწავლის/საქმიანობის პროცესში პირის როლთან ან პოზიციასთან დაკავშირებულ მოვალეობებს და ვალდებულებებს; მასთან მჭიდრო კავშირშია საქმიანობის განხორციელების ავტონომიურობა, თანამშრომლობა, პროფესიული ან/და აკადემიური ქცევის წესების/ეთიკის პრინციპების დაცვა.

მეორე მხრივ, (როგორც მორალური პასუხისმგებლობა) მოიცავს პირის დამოკიდებულებას საკუთარი და სხვების ქმედებებისადმი; საკუთარ და სხვების ქმედებების შეფასებას; საყოველთაოდ აღიარებული ღირებულებების საფუძველზე მოქმედებას.

ჩარჩოში პასუხისმგებლობა აღწერილია, როგორც პროგრესია უშუალო ხელმძღვანელობით, დაბალი ხარისხის ავტონომიურობით საქმიანობიდან და მარტივი დავალების შესრულებაზე პასუხისმგებლობის აღებიდან კვლევითი/განვითარების პროექტების ხელმძღვანელობამდე, აკადემიური ან/და პროფესიული კეთილსინდისიერების პრინციპებით დაცვით.

- **სწავლის უნარი** მოიცავს პირის მიერ საკუთარი სწავლის შედეგების საზღვრების გააზრებისა და აღიარების შესაძლებლობას; საკუთარი საჭიროებების შესაბამისად შემდგომი სწავლის/პროფესიული განვითარების დაგეგმვას, ორგანიზებასა და განხორციელებას. მისი დიაპაზონი იცვლება უშუალო ხელმძღვანელობით სწავლიდან ახალი, ინოვაციური იდეების განვითარების ხელშეწყობამდე, ახალი ცოდნის შექმნამდე.

ჩარჩო ასევე აღწერს **სწავლის ან/და საქმიანობის იმ კონტექსტს/გარემოს**, სადაც ხდება ცოდნისა და უნარების გამოყენება. კონტექსტი იცვლება ნაცნობი, კარგად სტრუქტურირებული და პროგნოზირებადი გარემოდან დინამიურ გარემომდე. რაც უფრო არაპროგნოზირებადი და ცვალებადი ხდება გარემო მით უფრო იზრდება ავტონომიურობისა და პასუხისმგებლობის ხარისხი.

მნიშვნელოვანია:

ჩარჩოს დონის კომპლექსურობისა და მისი თითოეული კატეგორიის არსის გაგების მიზნით, აუცილებელია აღმწერების ჰორიზონტალური წაკითხვა და ერთიანად გააზრება, ისევე როგორც ვერტიკალური წაკითხვა ანუ ზედა და ქვედა დონეების გათვალისწინებაც.

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ფორმირება და დამატებითი ასპექტები

<p>საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბების მიზნებისათვის აღმწერის თითოეული კატეგორიისა და მისი ქვეკატეგორიების/ასპექტების განხილვა უნდა მოხდეს სხვა კატეგორიებთან და ასპექტებთან კავშირში. პროგრამის დონეზე შესაძლებელია ასპექტების კომბინირება.</p>
<p>საგანმანათლებლო პროგრამაში/სასწავლო კურსში/კომპონენტში ჩარჩოს დონის აღმწერების კატეგორიების სრულად ასახვა, ამ კატეგორიებზე განსხვავებული აქცენტების გაკეთება დამოკიდებულია სწავლის სფეროზე და საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებზე. ავტონომიურობა და პასუხისმგებლობის ასახვა საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებში არაა სავალდებულო. ის აისახება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია მისი შეფასება (რეგულირებადი პროგრამებისათვის ის აუცილებელია).</p>
<p>პროგრამა შესაძლებელია უფრო მეტად იყოს ორიენტირებული “ცოდნაზე” ვიდრე “უნარებზე” ან/და “პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობაზე” ან პირიქით, რაც განპირობებულია პროგრამის მიზნით.</p>
<p>საგანმანათლებლო პროგრამის/სასწავლო კურსის/კომპონენტის სწავლის შედეგები არის სწავლის სფეროს შესატყვისი, კონკრეტული, მიღწევადი და გაზომვადი.</p>
<p>პროგრამა სწავლის/დასაქმების სფეროსთვის აუცილებელ სწავლის შედეგებთან ერთად ტრანსფერულ უნარებსაც უნდა ითვალისწინებდეს, ვინაიდან უმაღლესი აგნათლების მიზანია სტუდენტის, როგორც დემოკრატიული საზოგადოების აქტიური მოქალაქის მომზადება და მისი მომავალი კარიერისათვის მომზადება და პერსონალური განვითარების ხელშეწყობა.</p>

პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბებისას საჭიროა საერთოდ მიღებული პრინციპების გათვალისწინება:

- სწავლის შედეგი შეესაბამება პროგრამის მიზნებს და არის კონკრეტული (ჩარჩოს აღმწერების ზოგადი ხასიათისაგან განსხვავებით), მაგრამ არა ზედმეტად დეტალური;
- სწავლის შედეგები არის თანამიმდევრული;

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ფორმირება და დამატებითი ასპექტები

- თითოეული შედეგი არის თვალსაჩინო (ადვილად გასაგები), მიღწევადი და გაზომვადი პროგრამით განსაზღვრულ პერიოდში და შესაძლებელი უნდა იყოს შედეგების შეფასება. შესაბამისად, პროგრამა აღწერს სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდებსა და შეფასების კრიტერიუმებს;
- სწავლის შედეგების დაწერის დროს გაითვალისწინეთ ის ვადები (დროითი ჩარჩო), რომლის ფარგლებშიც უნდა იქნას მიღწეული ეს შედეგი. ყოველთვის არსებობს იმის საშიშროება, რომ შედეგების ავტორი იყოს ძალიან ამბიციური. შეეკითხეთ საკუთარ თავს, რეალისტურია თუ არა სწავლის შედეგების მიღწევა კონკრეტულ პერიოდში და არსებული რესურსებით;
- სწავლის შედეგების ჩამოყალიბებისას გათვალისწინეთ, თუ როგორ შეაფასებთ ამ შედეგებს - საიდან გეცოდინებათ, რომ სტუდენტმა მიაღწია დაგეგმილ შედეგს? თუ შედეგი არის ძალიან ფართო, მაშინ შესაძლებელია გართულდეს მისი ეფექტურად შეფასება. თუ შედეგები ჩამოყალიბებულია ძალიან ვიწროდ, მაშინ სწავლის შედეგების ჩამონათვალი იქნება ძალიან გრძელი და დეტალური;
- სწავლის შედეგების ოპტიმალური რაოდენობის განსაზღვრა არის საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის ნაწილი. მაგ., პროგრამის სწავლის შედეგების რაოდენობა უმაღლეს განათლებაში ECTS-ის სახელმძღვანელოს რეკომენდაციით არის 10-12 შედეგი (სასწავლო კურსში/კომპონენტში - მაქსიმუმ 6-8);
- სწავლის შედეგები აღიწერება აწმყო დროში;
- ღწერა უნდა იყოს მოკლე და ლაკონური (თავი აარიდეთ რთულ წინადადებებს);
- თითოეული სწავლის შედეგი აღიწერება აქტიური ზმნით/ზმნებით (მაქსიმუმ ორი ზმნით, გაზომვის გაადვილების მიზნით);
- არ გამოიყენება ისეთი ზმნიზედები და ზმნები, რომლებიც აღწერენ ზოგად მიდგომებს ან შეფასებას (მაგალითად, მუშაობს ეფექტურად, მოქმედებს აკურატულად, იცის, იგებს, სწავლობს, იცნობს) და ასევე სხვა ნებისმიერი ელემენტი, რომელიც არ გადმოსცემს მთავარ ინფორმაციას ან ორაზროვანია;
- სწავლის შედეგების ჩამოყალიბებისას გამოიყენება სხვადასხვა ტაქსონომიები, მათ შორის ბლუმის ტაქსონომია (იხ. მომდევნო ცხრილი);
- უზრუნველყავით სასწავლო კურსის/კომპონენტის სწავლის შედეგების კავშირი პროგრამის საერთო სწავლის შედეგებთან;
- სწავლის შედეგების ბოლო ვერსიის ჩამოყალიბებამდე, სთხოვეთ კოლეგებსა და ყოფილ სტუდენტებს შეაფასონ, თუ რამდენად დამაჯერებელია მათთვის ეს შედეგები;
- როდესაც წერთ სწავლის შედეგებს პირველი წლის შემდგომი სტუდენტებისათვის, შეეცადეთ, რომ არ გადატვირთოთ ჩამონათვალი ისეთი სწავლის შედეგებით, რომლებიც დაწერილია ბლუმის ტაქსონომიის საწყისი დონისთვის (მაგ., ცოდნა და გაგება კოგნიტურ სფეროში). შეეცადეთ, რომ სტუდენტმა გამოიყენოს ის, რაც უკვე ისწავლა, მ.შ. ისეთი შედეგები, რომლებიც უფრო მაღალ დონეს ასახავს (გამოყენება, ანალიზი, სინთეზი და შეფასება).

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ფორმირება და დამატებითი ასპექტები

სწავლის შედეგების ჩამოსაყალიბებლად გამოსაყენებელი ზმნები

1. კოგნიტური დომენი: შემეცნების პროცესი იყოფა 6 კატეგორიად ბლუმის ტაქსონომიის მიხედვით

ახსოვს Remembering სათანადო მასალის, ფაქტების/კონცეფციების აღდგენა, ამოცნობა და გახსენება	იგებს/აგნობიერებს Understanding ზეპირი, წერითი და გრაფიკული მასალიდან აზრის გამოტანა	იყენებს Applying ნაწავლი მასალის გამოყენება დავალების შესრულებისა თუ პრობლემის გადასაჭრელად	აანალიზებს Analyzing მასალის შემადგენელ ნაწილებად დაყოფა ამ ნაწილებსა და ასევე ნაწილებსა და მთელს შორის ურთიერთკავშირების შესასწავლად	აფასებს Evaluating კრიტერიუმებსა და სტანდარტზე დაფუძნებით გადაწყვეტილების მიღება	ქმნის Creating მრავალფეროვანი კომპონენტების გენერირება და გაერთიანება თანმიმდევრული და ფუნქციური მთლიანობის მისაღებად
ზმნები დამოწმება/ჩამოთვლა(ფაქტების), განსაზღვრა, აღწერა, შედგენა/დახაზვა, იდენტიფიცირება, მითითება/ჩვენება, მარკირება/სახელდება, ჩამოთვლა, დასახელება,	ზმნები აბსტრაგირება, არტიკულირება/გასაგებად გადმოცემა, კატეგორიებად დაყოფა, განმარტება/დაზუსტება, კლასიფიცირება, შედარება, მოდელის აგება, შეპირისპირება, გარდაქმნა/კონვერტირება, გრაფიკულად გამოსახვა,	ზმნები ადაპტირება, განთავსება, დანიშვნა, შესრულება, დასრულება, გამოთვლა, აგება/კონსტრუირება/შედგენა, (კლიენტის მოთხოვნილებაზე) მორგება, დემონსტრირება/ჩვენება, მიღება/მოპოვება, განსაზღვრა, დრამატიზება/ინსცენირება,	ზმნები შეფასება, მიკუთვნება, დანაწილება/დაყოფა, დახასიათება, ურთიერთდაკავშირება/კორელაციების დადგენა, დაშლა, დიაგნოზირება, დიაგნოზის დასმა, დიაგრამის შედგენა, დიფერენცირება, გამორჩევა, გაკვეთა/შესწავლა, განსხვავების დადგენა, ფოკუსირება, ილუსტრირება,	ზმნები შეფასება, არგუმენტირება/მტკიცება, განხილვა, შემოწმება, დასაბუთება, დასკვნის გამოტანა, დადასტურება, აგება/შედგენა/კონსტრუირება, რჩევის მიცემა, გაკრიტიკება, მსჯელობა/კამათი, დაცვა, გამოვლენა/აღმოჩენა, განსაზღვრა/დადგენა, განხილვა/პაექრობა, რედაქტირება, გადაწყვეტილების მიღება, გამართლება/დასაბუთება, გაზომვა,	ზმნები მოქმედებაში მოყვანა, შეკრება/გაერთიანება, კოდირება, შედგენა, დაწერა, დამუშავება, დაპროექტება, შემუშავება, ხელშეწყობა, გაფორმება, ფორმულირება, განხილვა, გენერირება, ჰიპოთეზის ჩამოყალიბება, წარმოსახვა, გაუმჯობესება,

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ფორმირება და დამატებითი ასპექტები

<p>მონახაზის გაკეთება/გამოკვეთა, ციტირება, გახსენება, თხრობა/გადმოცემა, ამოცნობა/ცნობა, რეპროდუცირება, არჩევა, შერჩევა, პოვნა, განთავსება, ცხრილის სახით წარმოდგენა/დაჯგუფება, კოპირება, დუბლირება და ა.შ.</p>	<p>დიფერენცირება, განხილვა, შეფასება (გამოანგარიშება/აღრიცხვა), მაგალითის მოყვანა, ახსნა, გავრცობა, ექსტრაპოლირება, ფაქტორებად დაშლა, განზოგადება, ილუსტრირება, დასკვნის გამოტანა, კონკრეტული მაგალითის მოყვანა, ინტერპრეტირება, შერჩევა/შეხამება, პერეფრაზირება, პროგნოზირება, წარდგენა, შეჯამება, თარგმნა/გადატანა და ა.შ.</p>	<p>მოხმარება/კეთება, აღსრულება, დიაგრამით გამოსახვა, განხორციელება, მანიპულირება, ოპერირება, განსახიერება, გეგმის შედგენა, მომზადება, თამნინდევრულად განლაგება, ჩვენება, სიმულირება, გადაჭრა და ა.შ.</p>	<p>აღწერა/ინვენტარიზაცია, ორგანიზება, გრამატიკული დაშლა/გარჩევა, პრიორიტეტების დადგენა, კითხვის დასმა/გამორკვევა, შერჩევა, გამორჩევა, გამოყოფა/განცალკევება, სტრუქტურირება, ტრანსფორმირება, გაანალიზება, კლასიფიცირება, კატეგორიებად დაყოფა, შედარება, შეპირისპირება, კრიტიკა, განხილვა, დასკვნის გაკეთება, იდენტიფიცირება, შემოწმება, გამოკვლევა, მოწესრიგება, ორგანიზება, დაკავშირება და ა.შ.</p>	<p>მონიტორინგი/შემოწმება, რანჟირება, დახარისხება, რეკომენდაციების მომზადება/მიცემა, მხარდაჭერა, ტესტირება, ვალიდაცია, გადამოწმება, დადგენა, გამორკვევა, დაკავშირება, შედარება, ამორჩევა, შეპირისპირება, გამორჩევა, ახსნა/განმარტება, ინტერპრეტირება, პროგნოზირება, პრიორიტეტების დადგენა, გადაჭრა, სტანდარტიზირება, დაკავშირება, შეჯამება და ა.შ.</p>	<p>გამოგონება, მოდიფიცირება, დაგეგმვა, წარმოება, დაპროგრამება, ტექსტის გადამუშავება, აგება, შექმნა, ადაპტირება, სისტემატიზირება, შეკრება/აწყობა, კომბინირება, ფორმულირება, განვითარება, ორგანიზირება, რეორგანიზება, ჩამოყალიბება, მომზადება, ინტეგრირება, შესწორება, რეკონსტრუირება, შეცვლა, სინთეზირება, ტესტირება და ა.შ.</p>
--	--	--	---	---	---

2. ფსიქომოტორული დომენი: ფსიქომოტორული სფერო ძირითადად აქცენტირებულია ფიზიკურ უნარებზე, მათ შორის ტვინისა და კუნთოვანი სისტემის კოორდინირებაზე. ის მოიცავს ფიზიკურ მოძრაობას, კოორდინირებასა და მოტორული უნარების გამოყენებას. ამ უნარების განვითარება საჭიროებს პრაქტიკას. ეს სფერო მოიცავს 7 ძირითად კატეგორიას.

აღქმა/ დაკვირვება Perception	მზაობა Set	კონტროლირებად გარემოში შესრულება	მექანიზმი (საბაზო გამოცდილება)	გართულებული შესრულება (ექსპერტი) Complex Overt Response (Expert)	ადაპტირება Adaptation	შექმნა Origination კონკრეტული
------------------------------------	---------------	--	-----------------------------------	--	--------------------------	-------------------------------------

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ფორმირება და დამატებითი ასპექტები

<p>სენსორული მინიშნებების გამოყენების შესაძლებლობა მოტორული აქტივობების წარსამართავად</p>	<p>მოქმედებისათვის მზადყოფნა. მოიცავს მენტალურ, ფიზიკურ და ემოციურ მზაობას. ეს ის განზრახვები, რაც სხვადასხვა სიტუაციებში განსაზღვრავს პირის პასუხს</p>	<p>Guided Response კომპლექსური უნარების შესწავლის ადრეული ეტაპი, რომელიც მოიცავს იმიტაციას, ცდას და შეცდომას. შესრულების ადეკვატურობა მიიღწევა ვარჯიშით</p>	<p>Mechanism (basic proficiency) კომპლექსური უნარების შესწავლის შუალედური დონე. ნასწავლი რეაგირება გახდა ჩვეულებრივი და მოძრაობების შესრულება შესაძლებელია გარკვეული დამაჯერებლობითა და გამოცდილებით</p>	<p>მოტორული ქმედებების უნარიანი/ოსტატური შესრულება, რაც კომპლექსურ მოქმედებებს მოითხოვს. გამოცდილება ნაჩვენებია სწრაფი, აკურატული და კარგად კოორდინირებული შესრულებით, რაც ენერჯის მინიმუმს მოითხოვს. ეს კატეგორია მოიცავს უყოყმანო და ავტომატურ შესრულებას.</p>	<p>უნარი კარგად არის განვითარებული და პირს შეუძლია განახორციელოს თავისი მოძრაობის მოდიფიცირება, სპეციალურ მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოსვლის მიზნით.</p>	<p>სიტუაციის ან სპეციფიკური პრობლემისათვის მოძრაობის ახალი ნიმუშის შექმნა. სწავლის შედეგები ყურადღებას ამახვილებს კრეატიულობაზე /შემოქმედებითობაზე, რაც ეფუძნება კარგად განვითარებულ უნარებს</p>
<p>ზმნები არჩევა, აღწერა, შენიშვნა, განასხვავების ჩვენება, იდენტიფიცირება, განცალკევება, დაკავშირება, შერჩევა და ა.შ.</p>	<p>ზმნები დაწყება, ახსნა, დემონსტრირება, მოძრაობა, რეაგირება, ჩვენება, წარდგენა/მითითება, მოხალისეობა და ა.შ.</p>	<p>ზმნები მიბაძვა, ნაკვალევზე გაყოლა, მიდევნება, რეაქცია, რეპროდუცირება, რეაგირება და ა.შ.</p>	<p>ზმნები აწყობა, აშენება, ყალიბებად დაყოფა, აგება, დაშლა, დემონსტრირება, შეკვრა, გასწორება, დაფქვა, გაცხელება, მანიპულირება, გაზომვა, შეკეთება, შერევა, ორგანიზება, ესკიზების გაკეთება და ა.შ.</p>	<p>ზმნები აწყობა, აშენება, ყალიბებად დაყოფა, აგება, დაშლა, დემონსტრირება, შეკვრა, გასწორება, დაფქვა, გაცხელება, მანიპულირება, გაზომვა, შეკეთება, შერევა, ორგანიზება, ესკიზების გაკეთება და ა.შ. შენიშვნა: ძირითადი სიტყვები იგივეა რაც წინა კატეგორიაში, მაგრამ წინადადებას აქვს ზმნიზე და ან ზედსართავი, რაც გამოცდილებაზე მიუთითებს</p>	<p>ზმნები ადაპტირება, გადაკეთება, ცვლილება, შესწორება/ გადაადგილება, რეორგანიზება, რევიზირება და ა.შ.</p>	<p>ზმნები განლაგება, აშენება, კომბინირება, შექმნა, კონსტრუირება, დიზაინის გაკეთება, ინიცირება, წარმოქმნა და ა.შ.</p>

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ფორმირება და დამატებითი ასპექტები

3. აფექტური/ემოციური დომენი: აფექტური/ემოციური დომენი მოიცავს ქცევის მანერას, რომლითაც ჩვენ რაიმეს/საკითხს ვუდგებით/ვწყვეტთ ისეთი ემოციებით, როგორცაა გრძნობები, ღირებულებები, მადლიერება, ენთუზიაზმი, მოტივაცია და დამოკიდებულებები. ამ დომენში გამოიყოფა ქცევის 5 კატეგორია.

<p>მოვლენის მიღება/აღქმა Receiving Phenomena გაცნობიერებულობა, მზაობა მოისმინო, შერჩეული ყურადღება</p>	<p>მოვლენაზე პასუხის გაცემა/რეაგირება Responding to Phenomena: სტუდენტის აქტიური მონაწილეობა. ყურადღებას იჩენს და აქვს რეაქცია კონკრეტულ მოვლენაზე. სწავლის შედეგებმა შეიძლება აღნიშნონ სათანადო პასუხის გაცემა, პასუხის გაცემისათვის მზაობა ან კმაყოფილება რეაგირებაზე (მოტივაცია)</p>	<p>ღირებულების გააზრება-რეფლექსია Valuing კონკრეტული ობიექტის, მოვლენის ან ქცევის დაფასება/ღირებულების გააზრება. მერყეობს მარტივი მიღებიდან უფრო კომპლექსურ ვალდებულებამდე. ღირებულების გააზრება ეფუძნება ღირებულებების გარკვეული ნაკრების გათავისებას, მაშინ როცა ეს ღირებულებები აშკარად გამოიხატება სტუდენტის ქცევაში და უმეტესწილად იდენტიფიცირებადია</p>	<p>ორგანიზება Organization ღირებულებების პრიორიტეტებად ორგანიზება განსხვავებული ღირებულებების დაპირისპირების, მათ შორის კონფლიქტის დამლევითა და ღირებულებების უნიკალური სისტემის შექმნის მეშვეობით. აქცენტი კეთდება ღირებულებების შედარებაზე, დაკავშირებასა და სინთეზზე.</p>	<p>ღირებულებათა სისტემის გათავისება Internalizing values (characterization) პირს აქვს ღირებულებების სისტემა, რომელიც აკონტროლებს მის ქცევას. ქცევა არის ყოვლისმომცველი, თანამიმდევრული, პროგნოზირებადი და რაც ყველაზე მთავარია სტუდენტისთვის /პირისთვის დამახასიათებელი. სწავლის შედეგები შეეხება ცვლილებებზე სტუდენტის მორგების ზოგად სქემას (პერსონალური, სოციალური, ემოციური)</p>
<p>ზმნები კითხვის დასმა, აღიარება, არჩევა, აღწერა, გაყოლა, გაცემა, განლაგება, იდენტიფიცირება, სახელდება/სახელის</p>	<p>ზმნები პასუხის გაცემა, დათანხმება, დახმარება, კითხვის დასმა, ასისტირება, განმარტება, წვლილის შეტანა,</p>	<p>ზმნები შესრულება, მიღება, მოწონება, დემონსტრირება, ახსნა, გაყოლა, ჩამოყალიბება, ინიცირება, ჩართვა, დაზუსტება, შეთავაზება, არჩევა, გაზიარება,</p>	<p>ზმნები გაყოლა, შეცვლა, მოწესრიგება, გაერთიანება, დაცვა, ახსნა, გაერთიანება, შესწორება, ცვლილების შეტანა, გენერირება, ფორმულირება,</p>	<p>ზმნები მოქმედება, გარჩევა/ განსხვავება, ჩვენება, გავლენის მოხდება, მოსმენა, შესწორების შეტანა, მოდიფიცირება, წარდგენა, გავარჯიშება/პრაქტიკაში</p>

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ფორმირება და დამატებითი ასპექტები

დარქმევა, პასუხის გაცემა, გამოყენება, არჩევა და ა.შ.	თანამშრომლობა, შერჩევა, წარდგენა, შეტყობინება, არჩევა, წაკითხვა, თქმა, წერა, მონაწილეობა და ა.შ.	იდენტიფიცირება, ინიცირება, მომზადება, უარყოფა და ა.შ.	ორგანიზება, დახარისხება, დაკავშირება და ა.შ.	გატარება, შეთავაზება, განსაზღვრა, კითხვის დასმა, შემოწმება, მომსახურება, მოგვარება, დადასტურება, დასაუთება, ინკორპორირება, გადახედვა/რევიზირება და ა.შ.
--	--	---	--	---

(სხრილში მოცემული ზმნების ჩამონათვალი არაა ამომწურავი).

საკონტროლო ფურცელი სწავლის შედეგების დასაწერად

ცხრილში მოცემული საკონტროლო ფურცელი დაგეხმარებათ კიდევ ერთხელ გადაამოწმოთ, დაწერილია თუ არა სწავლის შედეგები სტანდარტული მითითებების შესაბამისად.

N	კითხვები	მონიშნეთ
1	ორიენტირებულია შედეგზე და არა პროცესზე?	
2	ორიენტირებულია იმაზე, თუ რისი დემონსტრირების შესაძლებლობა აქვს სტუდენტს სწავლის დასრულების შემდეგ და არა იმაზე, თუ რა გააკეთა მან სწავლების დროს	
3	თითოეული სწავლის შედეგი იწყება აქტიური ზმნით (ქართული ენის სპეციფიკის გათვალისწინებით შეიძლება იყოს სხვა წყობაც)?	
4	ერთი სწავლის შედეგი ერთ აქტიურ ზმნას მოიცავს (უკიდურეს შემთხვევაში - მაქსიმუმ ორს)?	
5	არაა გამოყენებული ისეთი ზმნები როგორცაა: იცის, იგებს, სწავლობს, იცნობს, გათვითცნობიერებულია და სხვა ამგვარი?	

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ფორმირება და დამატებითი ასპექტები

6	არის თუ არა სწავლის შედეგები თვალსაჩინო და გაზომვადი?	
7	შესაძლებელია თუ არა სწავლის შედეგების შეფასება?	
8	გამოყენებულია სწავლის შედეგების ფორმულირებისას ბლუმის ტაქსონომია?	
9	ყველა შედეგი შეესაბამება თუ არა სასწავლო კურსის/კომპონენტის მიზნებსა და შინაარსს?	
10	სწავლის შედეგების რაოდენობა შესაბამისობაშია რეკომენდირებულთან? (მაქსიმუმ რვა შედეგი ერთი სასწავლო კურსისთვის/კომპონენტისთვის, პროგრამისათვის - არაუმეტეს 12-სა)	
11	რეალისტურია თუ არა სწავლის შედეგების მიღწევა მოცემულ ვადებში და არსებული რესურსების პირობებში?	

სწავლის შედეგების მაგალითი (საინჟინრო პროგრამისთვის)

<p>პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი:</p> <ul style="list-style-type: none"> • გამნარტავს დარგის ძირითად ცნებებს და კატეგორიებს; • იღებს გადაწყვეტილებას საბუნებისმეტყველო და საინჟინრო მეცნიერებების, ასევე ტექნოლოგიებისა და მათემატიკის ცოდნის საფუძველზე; • აანალიზებს და ჭრის საინჟინრო პრობლემებს მათი იდენტიფიცირებისა და ფორმულირების საფუძველზე; • სპეციფიკური საჭიროებების შესაბამისად გეგმავს სისტემას, კომპონენტას ან პროცესს; • გეგმავს და ახორციელებს ექსპერიმენტებს მონაცემების ანალიზითა და ინტერპრეტირებით; • ეფექტურად მუშაობს ჯგუფსა და მულტიდისციპლინარულ კონტექსტში, „მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის“ პრინციპის დაცვით; • ამყარებს ეფექტურ კომუნიკაციას როგორც საინჟინრო, ასევე ფართო საზოგადოებასთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ფორმირება და დამატებითი ასპექტები

სილაბუსში გასათვალისწინებელი ასპექტები:

1. სილაბუსში მიუთითეთ სასწავლო კურსის/კომპონენტის (შემდგომ - სასწავლო კურსი) სახელწოდება, საგანმანათლებლო პროგრამა, სწავლების საფეხური (ბაკალავრიატი/მაგისტრატურა), სასწავლო კურსის სტატუსი (არჩევითი /სავალდებულო), განხორციელების სემესტრი, სწავლების ენა;

2. მოკლედ და მკაფიოდ აღწერეთ სასწავლო კურსის მიზნები;

3. მიუთითეთ:

სასწავლო კურსის კრედიტები;

სტუდენტის საკონტაქტო მუშაობის საათების რაოდენობა;

სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის საათების რაოდენობა;

წერიტი ნაშრომის (პროექტის/რეფერატის და სხვ.) დაცვისათვის განკუთვნილი დრო (არსებობის შემთხვევაში);

შუალედური გამოცდის/ დასკვნითი გამოცდის ჩასაბარებლად განკუთვნილი დრო.

4. მიუთითეთ, რომელი სასწავლო კურსი/კურსები წარმოადგენს აღნიშნულ სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობას/წინაპირობებს (წინაპირობა უნდა იყოს ლოგიკური).

5. მიუთითეთ შესაბამის საფეხურზე მისაღწევი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების დონე, რომელსაც შეიძენს სტუდენტი აღნიშნული სასწავლო კურსის გავლის შემდეგ.

6. მიუთითეთ სწავლების მეთოდები, რომლებიც გამოიყენება სასწავლო პროცესის განსახორციელებლად (ლექცია/სამუშაო ჯგუფში მუშაობა/პრაქტიკული მეცადინეობადა/ლაბორატორიული მეცადინეობა/სემინარი, დისკუსია, პრეზენტაცია, PBL, CBL, გონებრივი იერიში და/ან სხვ.).

7. ჩამოაყალიბეთ სასწავლო კურსის შინაარსი:

სალექციო თემების და განსახილველი საკითხების, სწავლების შესაბამისი მეთოდების, შუალედური და დასკვნითი შეფასებების გრაფიკის, სათემის მოცულობის, ძირითადი ლიტერატურის, შეფასების მეთოდების მითითებით.

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ფორმირება და დამატებითი ასპექტები

8. მიუთითეთ:

შუალედური და დასკვნითი შეფასების კომპონენტები: კვირეული სამუშაო (არსებობის შემთხვევაში), შუალედური გამოცდა, რეფერატი/პრეზენტაცია/ესე/პროექტი და ა. შ. (არსებობის შემთხვევაში), დასკვნითი გამოცდა; შეფასების თითოეული კომპონენტის ხვედრითი წილი დასკვნითი შეფასებისთვის, მინიმალური კომპეტენციის ზღვარი (უნივერსიტეტში მოქმედი წესების შესაბამისად); შეფასების კრიტერიუმები; დასკვნით გამოცდაზე დაშვების წინაპირობა;

9. მიუთითეთ სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურა (სახელმძღვანელო, მონოგრაფია, სამეცნიერო სტატია, ელექტრონული რესურსი, ვებ-გვერდი და ა. შ.). დააფიქსირეთ ინფორმაცია სავალდებულო ლიტერატურის ხელმისაწვდომობის და დამატებითი ლიტერატურის მოძიების შესაძლებლობის შესახებ;

10. შეავსეთ სწავლის შედეგების რუკა.

გაითვალისწინეთ:

სასწავლო კურსის მიზანი და შედეგები შესაბამისობაში უნდა იყოს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებთან და შედეგებთან, ისევე, როგორც სასწავლო კურსის შინაარსი და სწავლების და შეფასების მეთოდები, ასევე გამოყენებული ლიტერატურა უნდა იძლეოდეს სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას. ამასთანავე, გაიაზრეთ, რა როლს თამაშობს აღნიშნული სასწავლო კურსის სწავლის შედეგი პროგრამის სწავლის შედეგთან/შედეგებთან მიმართებაში და რა დონეზე.

თითოეულ სილაბუსს უნდა ერთვოდეს მოცემული სასწავლო კურსის/კომპონენტის სწავლის შედეგების შეფასების რუკა

სასწავლო კურსის/კომპონენტის სწავლის შედეგები	პროგრამის სწავლის შედეგები (იწერება	შეფასება
--	-------------------------------------	----------

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ფორმირება და დამატებითი ასპექტები

		მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კომპონენტი სავალდებულოა)	
ცოდნა და გაცნობიერება (აღნიშნულის მითითება არ არის სავალდებულო)	მაგ.: აღწერს საბანკო ოპერაციების აღრიცხვის მეთოდებსა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ბასს) მოთხოვნების შესაბამისად;	მაგ.: 1	მაგ.: კითხვა-პასუხი; ღია კითხვა; ტესტირება
უნარი (აღნიშნულის მითითება არ არის სავალდებულო)	მაგ.: ახორციელებს საბანკო ოპერაციების, შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვას;	მაგ.: 3	მაგ.: პრაქტიკული სავარჯიშო, საშინაო დავალების პრეზენტაცია
პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა (აღნიშნულის მითითება არ არის სავალდებულო)	მაგ.: წარმართავს მონაცემებზე ორიენტირებულ სისტემების განვითარებისთვის საჭირო საქმიანობას და იღებს მასზე პასუხისმგებლობას.	მაგ.: 5	მაგ.: როლური თამაში

სხვა ფორმები:

საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების რუკა

N	საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები	საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები	შენიშვნა

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ფორმირება და დამატებითი ასპექტები

	<i>ერთი მიზნის გასწვრივ შეიძლება დაიწეროს შედეგების ნუსხა, ან ერთი შედეგი. მთავარია, მიზანი შინაარსობრივად ფარავდეს სწავლის მითითებულ შედეგ(ებ)ს</i>	<i>ერთი შედეგი შეიძლება შეესაბამებოდეს ერთ ან სხვადსხვა მიზანს</i>
1		
2		
3		

იმ შემთხვევაში, თუ მიზანი ნარატიული ტექსტის სახითაა მოცემული, ამ რუკაში ის უნდა წარმოვადგინოთ ლოგიკური ნაწილების სახით, რათა შესაძლებელი იყოს მიზნის და შედეგების დადარება.

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების (კურიკულუმის) რუკა

ვარიანტი 1 (სარეკომენდაციო)

პროგრამის კომპონენტის სახელწოდება	შედეგი 1		შედეგი 2		შედეგი 3		შედეგი 4		შედეგი 5	
	<i>ჩაწერეთ ტექსტი</i>	<i>შედეგის ტექსტი</i>	<i>ჩაწერეთ ტექსტი</i>	<i>შედეგის ტექსტი</i>	<i>ჩაწერეთ ტექსტი</i>	<i>შედეგის ტექსტი</i>	<i>ჩაწერეთ ტექსტი</i>	<i>შედეგის ტექსტი</i>	<i>ჩაწერეთ ტექსტი</i>	<i>შედეგის ტექსტი</i>
	X									
	X		X		x					
	X		X						X	
	X									
	X		X				X		X	
	X		X				X		X	
	X		X				X		X	
	X		X				X		X	


შესავალი კურსები	ცოდნის/უნარის გაღრმავებისკენ მიმართული კურსები	ცოდნის/უნარის დემონსტრირებაზე ორიენტირებული კურსები	კურსები, რომლებიც ადასტურებენ კონკრეტული შედეგის მიღწევას
-------------------------	---	--	--

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ფორმირება და დამატებითი ასპექტები



ვარიანტი 2 (სარეკომენდაციო)

პროგრამის კომპონენტის სახელწოდება	შედეგი 1	შედეგი 2	შედეგი 3	შედეგი 4	შედეგი 5
	ჩაწერეთ შედეგის ტექსტი	ჩაწერეთ შედეგის ტექსტი	ჩაწერეთ შედეგის ტექსტი	ჩაწერეთ შედეგის ტექსტი	ჩაწერეთ შედეგის ტექსტი
	ა	ა	ა	ა	ა
					ბ
		ბ	ბ		
					გ
	ბ				
		გ		ბ	
	გ		გ	გ	



ვარიანტი 3 (სარეკომენდაციო)

პროგრამის კომპონენტის სახელწოდება	შედეგი 1	შედეგი 2	შედეგი 3	შედეგი 4	შედეგი 5
	ჩაწერეთ შედეგის ტექსტი	ჩაწერეთ შედეგის ტექსტი	ჩაწერეთ შედეგის ტექსტი	ჩაწერეთ შედეგის ტექსტი	ჩაწერეთ შედეგის ტექსტი
	✓		✓		
		✓			✓
	✓		✓		
		✓			

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ფორმირება და დამატებითი ასპექტები

				✓	✓
	✓			✓	
		✓		✓	✓

(ცხრილები რეკომენდირებულია გაკეთდეს excel ფაილში, ვინაიდან ვორდი არ იძლევა საჭირო გაფართოებას)

1. ყველა სწავლის შედეგი აუცილებლად უნდა გაიზომოს. აღნიშნულში მონაწილეობს მხოლოდ სავალდებულო კომპონენტები;
2. პროგრამის სავალდებულო კომპონენტები დაალაგეთ ქრონოლოგიურად. დასვით აღმნიშვნელი პროგრამის კონკრეტული სწავლის შედეგისა და მის ფორმირებაში მონაწილე სასწავლო კურსის (რომელიც გადის შედეგზე, ან არის ამ შედეგზე გასვლისთვის შუალედური რგოლი/წინაპირობა და ა.შ) გადაკვეთაზე;
3. ერთ სასწავლო კურსს შეიძლება გავყავდეთ ერთ, ორ ან მეტ შედეგზე, ისევე, როგორც ერთ სწავლის შედეგზე შეიძლება გავყავდეთ რამდენიმე, ორ/ერთ (განსაკუთრებულ შემთხვევებში) სასწავლო კურსს;
4. სწავლის შედეგის შეფასება უნდა მოხდეს იმ სასწავლო კურსის ფარგლებში, რომელიც შედეგზე გამყვანი სასწავლო კურსების ჯაჭვში ქრონოლოგიურად ბოლოა, ხოლო თუ მოცემულ სემესტრში ჯაჭვის ორი ან მეტი სასწავლო კურსი იკითხება - ამ სასწავლო კურსებიდან ყველაზე უფრო რელევანტურში;
5. თუ შედეგები ვითარდება დონეების მიხედვით, მნიშვნელოვანია, რომ თითოეული შედეგი განვითარდეს სამივე დონეზე. ხოლო შეფასება განხორციელდეს იმ სასწავლო კურსში, სადაც ხდება მისი მიღწევა/განმტკიცება.

გთავაზობთ მაგალითს:

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის ერთ-ერთი შედეგი შეიძლება იყოს: „ამზადებს დანახარჯების შესახებ ინფორმაციასა და ფინანსურ ანგარიშგებას, ანალიზებს ფირმის საქმიანობის შედეგებს“.

ამ შედეგზე გამყვანი სასწავლო კურსები შეიძლება იყოს: „ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები“, „ფინანსური აღრიცხვა“, „არღიცხვა ბანკებში“, „საბუღალტრო აღრიცხვა საჯარო სამართლის სუბიექტებში“, „ფინანსური ანგარიშგება“.

შედეგის შეფასება განხორციელდება „ფინანსური ანგარიშგების“ ფარგლებში, მაგ. „დასკვნითი სიტუაციური ამოცანის“ შესრულებით, რომლის შეფასების კრიტერიუმებში ასახული იქნება ჯაჭვის თითოეული სასწავლო კურსის მონაწილეობა და

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ფორმირება და დამატებითი ასპექტები

განსაზღვრული იქნება თითოეული კრიტერიუმისათვის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი (რათა შემდგომ შესაძლებელი იყოს „ჯაჭვში სუსტი რგოლის“ გამოვლენა). გთავაზობთ შეფასების კრიტერიუმების ნიმუშს:

„შემაჯავებელი სიტუაციური ამოცანის შეფასების კრიტერიუმები“

ამოცანა მოიცავს აღრიცხვას და ანგარიშგებას სრულად და მისი შეფასების კრიტერიუმებია:

- საცდელი ბალანსის შედგენა - 5 ქულა (შედეგი დადებითად ჩაითვლება, თუ ის შეადგენს მინიმუმ 2.5 ქულას);
- ბალანსის შედგენა - 6 ქულა (შედეგი დადებითად ჩაითვლება, თუ ის შეადგენს მინიმუმ 3 ქულას);
- მოგება-ზარალის ანგარიშგება - 3 ქულა (შედეგი დადებითად ჩაითვლება, თუ ის შეადგენს მინიმუმ 1.5 ქულას);
- ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება - 3 ქულა (შედეგი დადებითად ჩაითვლება, თუ ის შეადგენს მინიმუმ 1.5 ქულას);
- საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება - 3 ქულა (შედეგი დადებითად ჩაითვლება, თუ ის შეადგენს მინიმუმ 1.5 ქულას);

(სულ 20 ქულა)

აღნიშნული ამოცანის შესასრულებლად სტუდენტმა უნდა გაიხსენოს სავალდებულო და მოდულში შემავალ სასწავლო კურსებში შეძენილი ცოდნა და უნარები: ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები, ფინანსური აღრიცხვა, აღრიცხვა ბანკებში, აღრიცხვა საჯარო სამართლის სუბიექტებში“ და დააკავშიროს ისინი „ფინანსური ანგარიშგების“ ფარგლებში შეძენილ ცოდნასა და უნარებთან.

აუცილებლად გასათვალისწინებელია, რომ პროგრამის შედეგების ფორმირებაში ყველა სავალდებულო სასწავლო კურსი/კომპონენტი უნდა ღებულობდეს მონაწილეობას, რაც აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების რუკაში. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ერთი და იგივე სასწავლო კურსი შესაძლებელია მონაწილეობდეს სახვადასხვა შედეგის ფორმირებაში.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა 1 (სარეკომენდაციო)

პროგრამის სწავლის შედეგები	2021-2022 I -II სემ.	2022-2023 III-IV სემ.	2023-2024 V-IV სემ.	2024-2025 VII სემ.	2024-2025 VIII სემ.	ს.წ.	2025-2026 შემოდგომა	2025-2026 გაზაფხული

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ფორმირება და დამატებითი ასპექტები

I შედეგი					✓	...%		
II შედეგი					✓	...%		
III შედეგი					✓	...%		
IV შედეგი					✓	...%		
<p>კომპეტენციების შემოწმება (პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასება):</p> <ol style="list-style-type: none"> 1. ინსტრუმენტების მომზადება; 2. ინფორმაციის შეგროვება; 3. ანგარიშის მომზადება და წარდგენა. 								
<p>კომპეტენციების განვითარება (გამლიერება და შედეგების ასახვა):</p> <ol style="list-style-type: none"> 1. წინადადებების შემუშავება და განხილვა; 2. კონკრეტული გზების ინიცირება; 3. შედეგების ასახვა. 								
<p>გამოყენებული შემოკლება: ს.ნ. - დადებითი მაჩვენებლის სამიზნე ნიშნული</p> <p style="margin-left: 20px;">✓ - შედეგის დადგომა</p>								

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმის მოცემული ვარიანტი ითვალისწინებს შეფასების დროს (შედეგი ფასდება მისი დადგომის შემდგომ სემესტრში, ხოლო მომდევნო სემესტრში, საჭიროების შემთხვევაში, ხდება მისი მოდიფიცირება) და თავისებურებებს (შეფასების პროცესის ეტაპებს და ინსტრუმენტებს), ასევე შედეგების დაძლევის ნიშნულს.

გეგმაში შესაძლებელია მოცემული შედეგის გაზომვაზე პასუხისმგებელი პროგრამის კომპონენტების დამატება, ასევე ამ კომპონენტებში გამოყენებული იმ შეფასების მეთოდების (პირდაპირი შეფასება) დამატება, რომლებითაც იზომება ესა თუ ის შედეგი, ასევე პირდაპირი შეფასების განმახორციელებელი პირების მითითება.

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ფორმირება და დამატებითი ასპექტები

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა 2 (სარეკომენდაციო)

პროგრამის სწავლის შედეგები	პირდაპირი შეფასების მეთოდი	სამიზნე ნიშნული	არაპირდაპირი შეფასების მეთოდი	შესაფასებელ სტუდენტთა რაოდენობა	კომ-ის შემოწმება	კომ-ის განვითარება	პასუხისმგებელი პირი
		... %					
		... %					
<p>კომპეტენციების შემოწმება (პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასება):</p> <ol style="list-style-type: none"> ინსტრუმენტების მომზადება; ინფორმაციის შეგროვება; ანგარიშის მომზადება და წარდგენა. 							
<p>კომპეტენციების განვითარება (გაძლიერება და შედეგების ასახვა):</p> <ol style="list-style-type: none"> წინადადებების შემუშავება და განხილვა; კონკრეტული გზების ინიცირება; შედეგების ასახვა. 							

(ცხრილები რეკომენდირებულია გაკეთდეს excel ფაილში, ვინაიდან ვორდი არ იძლევა საჭირო გაფართოებას)

უნივერსიტეტში მოქმედი პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების სისტემა და მექანიზმები

სილაბუსით გათვალისწინებული შედეგების მიღწევის შეფასება

- სტუდენტების მიერ სილაბუსის სწავლის შედეგების მიღწევის დადგენა ხდება მათი აკადემიური მოსწრების ანალიზის გზით, რაც მოიცავს პროგრამის და სილაბუსის დონეზე მონაცემების დამუშავებას და პროცენტული განაწილების დინამიკაზე დაკვირვებას. არასებური მეთოდი საშუალებას იძლევა, გავიგოთ, რამდენად რთული ან მარტივია სასწავლო კურსების პროგრამები, შეფასების რამდენად ადეკვატური ფორმებია გამოყენებული ლექტორების მიერ, რამდენად მაღალია სტუდენტთა მომზადების დონე და სხვ.

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ფორმირება და დამატებითი ასპექტები

დიაპაზონი (გაუსის განაწილება) სტანდარტულად ნაწილდება შემდეგნაირად:

დადებითი შეფასება:

- (A) ფრიადი - 10%
- (B) ძალიან კარგი - 25%
- (C) კარგი - 30%
- (D) დამაკმაყოფილებელი - 25%
- (E) საკმარისი - 10%

აღნიშნული დიაპაზონიდან 20%-იანი გადახრის შემთხვევაში გადაიხედება სწავლის შედეგები და მისი მიღწევის გზები:

- ✓ კრედიტების/საათების განაწილება დროში;
 - ✓ სწავლების მეთოდები;
 - ✓ თემატიკა;
 - ✓ მოცულობა;
 - ✓ შეფასების ფორმები და მეთოდები;
 - ✓ ჯგუფში სტუდენტთა ოდენობა;
 - ✓ კურსის დაძლევის წინაპირობა;
 - ✓ სასწავლო პროცესის ორგანიზების თავისებურებები და ა. შ
2. ამავე დროს ხდება სილაბუსში მითითებული, სასწავლო კურსის სწავლის შედეგების შეფასების რუკით განსაზღვრული ნიშნულების მიღწევის მონიტორინგი (პროგრამის შედეგების კონტექსტში).
 3. გამოყენებულია პირდაპირი შეფასების მეთოდოლოგია: წერიტი/ზეპირი გამოცდა/გამოკითხვა, პრეზენტაცია, რეფერატი, პრაქტიკული პროექტი და სხვა.
 4. სწავლის შედეგების შეფასების მტკიცებულებებია სტუდენტთა ნაშრომები.

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ფორმირება და დამატებითი ასპექტები

პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევის შეფასება

1. საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის ერთ-ერთი ინდიკატორია შედეგების რუკა, რომელიც გამოიყენება სწავლის შედეგების ნაწილში (ხდება პროგრამის და სასწავლო კურსების/კომპონენტების სწავლის შედეგების დადარება)
2. უნივერსიტეტში დანერგილია შეფასების ტექნიკა (მონიტორინგის სისტემა), რათა განვსაზღვროთ, მიაღწია თუ არა სტუდენტმა სწავლის შედეგებს.

არსებული ტექნიკა ითვალისწინებს სასწავლო ელექტრონული პროგრამის საშუალებით განისაზღვროს პროგრამაზე არსებული სტუდენტების საერთო რაოდენობიდან რამდენმა პროცენტმა მიაღწია პროგრამის თითოეულ სწავლის შედეგს და დადარდეს სამიზნე ნიშნულებს.

3. გამოყენებულია პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასების მეთოდოლოგია:
 - ა) პირდაპირი შეფასების მეთოდების მაგალითებია: წერიტი/ზეპირი გამოცდა/გამოკითხვა, პრეზენტაცია, რეფერატი, პრაქტიკული პროექტი, საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომი და სხვა.
 - ბ) არაპირდაპირი შეფასების მეთოდებია: დამსაქმებლების გამოკითხვა, კურსდამთავრებულთა გამოკითხვა, სტუდენტთა გამოკითხვა და სხვა.
4. სწავლის შედეგების შეფასების ინსტრუმენტები, მასალები, მტკიცებულებებია: სტუდენტთა ნაშრომები, გამოკითხვის შედეგები და სხვა.

შედეგების შეფასებისას მონიტორინგი და სამიზნე ნიშნულები:

პროგრამას აქვს სამიზნე ნიშნულები თითოეული სწავლის შედეგისათვის

ხდება სწავლის შედეგების შეფასების შედეგების მონიტორინგი და სამიზნე ნიშნულებთან დადარება

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ფორმირება და დამატებითი ასპექტები

სწავლის შედეგების შეფასების შედეგების მონიტორინგი: სწავლის შედეგების მიღწევის პროცენტული განაწილების ანალიზი

სამიზნე ნიშნულები: პროგრამის თითოეული სწავლის შედეგის სამიზნე ნიშნულები მითითებულია შესაბამის პროგრამებში, მათი სპეციფიკის გათვალისწინებით

სამიზნე ნიშნულებთან დადარება: ხდება მონიტორინგის შედეგების დადარება სამიზნე ნიშნულებთან და აიგება თვალსაჩინოებისთვის დიაგრამა სწავლის შედეგების მიღწევის პროგრესის/რეგრესის გამოვლენის მიზნით.

სწავლის შედეგების შეფასების პერიოდულობა:

1. სასწავლო კურსის სწავლის შედეგების გაზომვა ხდება აკადემიურ წელიწადში ერთხელ, აღნიშნული სასწავლო კურსის ხელახლა განხორციელებამდე არაუგვიანეს 1 თვისა და დადარდება პროცენტულ მაჩვენებლებს.
ინსტრუმენტები: სასწავლო ელექტრონული პროგრამა
მასალები: სტუდენტთა ნაშრომები და შეფასება; სასწავლო კურსის სწავლის შედეგების შეფასება.
2. პროგრამის თითოეული სწავლის შედეგის გაზომვა ხდება პროგრამაზე თანდართული შეფასების გეგმის მიხედვით, იმ სემესტრის მომდევნო სემესტრში, სადაც დადგა აღნიშნული სწავლის შედეგი.
პერიოდულობა: ყოველწლიური
ინსტრუმენტები: შეფასების გეგმა
მასალები: სტუდენტთა მიღწევები; გამოკითხვის შედეგები; შედეგების ნიშნულებთან დადარების ანალიზი

სწავლის შედეგების ფუნდამენტური გადახედვა და მონიტორინგი:

ბაკალავრიატის საფეხურზე: 3 წლიან დინამიკაზე დაკვირვება
მაგისტრატურის საფეხურზე: 3 წლიან დინამიკაზე დაკვირვება

ზემოაღნიშნული პერიოდებისთვის მოხდება მონიტორინგის შედეგების დადარება სამიზნე ნიშნულებთან და აიგება თვალსაჩინოებისთვის დიაგრამა: სწავლის შედეგის მიღწევის პროგრესის/რეგრესის დამზერის და შემდგომი რეაგირების მიზნით.

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ფორმირება და დამატებითი ასპექტები

შედეგების განხილვა და რეაგირება

მონიტორინგის შედეგად თუ გამოვლინდა რეგრესი (სამიზნე ნიშნულებთან დადარებისას), ხდება სწავლის შედეგების და მიღწევის გზების გადახედვა და შესაბამისად პროგრამის მოდიფიცირება არსებული რეგულაციების გათვალისწინებით.

ხარისხის მართვის და პროგრამების შესაბამისობის დეპარტამენტი პერიოდულად აწყობს შეხვედრებს აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან სწავლის შედეგების შედგენის, გაზომვის და ანალიზის თავისებურებების გაცნობისთვის, იძლევა მეთოდურ რეკომენდაციებს და ინსტრუქციებს სწავლის შედეგების შეფასების კუთხით.

დაინტერესებული მხარეები მიიღებენ უკუკავშირს, თუ რამდენად იქნა მიღწეული პროგრამის სწავლის შედეგები.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად, რაც გულისხმობს, საჭიროების შემთხვევაში, პროგრამის შინაარსის და/ან სწავლის შედეგების და/ან შეფასების სისტემის მოდიფიცირებას.

შენიშვნა: რეგულირებადი საგანმანათლებლო პროგრამებისათვის აუცილებლად გასათვალისწინებელი სახელმძღვანელო დოკუმენტია დარგობრივი მახასიათებელი